# ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს

## 2025 წლის
## სამოქმედო გეგმა

<table>
<tr><td>მიზანი 1.</td><td colspan="4">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და ამ მიმართულებით ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.1.</td><td colspan="4">ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ქალებისა და გოგონების ცნობიერების ასამაღლებლად,ონის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის, ასევე მერიის იურიდიული სამსახურის ჩართულობით, სხვადასხვა სახის აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. ამ მიმართლებით გაწეული მუშაობის თაობაზე, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომაზე ინფორმაციების მოსმენა</td></tr>
<tr><td></td><td>ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:<br>მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას სათანადო პირობები, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს, გოგონებს და მამაკაცებს აუმაღლებს ცოდნას და წარმოდგენას თავიანთ უფლებებთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად</td><td colspan="3">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:<br>დაგეგმილი და განხორციელებულია სხვადასხვა სახის აქტივობა მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის, ასევე მერიის იურიდიული სამსახურის მიერ, შშმ პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად, შშმ პირთა უფლებების გაცნობის მიზნით, რაც დაეხმარებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში დაიცვან საკუთარი უფლებები, უფრო მეტად გააქტიურონ ჩართულობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. განსაკუთრებით კი, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.1.</td><td colspan="4">შშმ ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზებისათვის ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის ჭრილში</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>მოსმენილია ონის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერის სპეციალისტის ინფორმაცია მუნიციპალიტეტში შშმ ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების,</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td>თავისუფლებისა და შესაძლებლობების რეალიზების შესახებ გაწეული მუშაობის თაობაზე</td><td>2025 წლის მე-3 კვარტალი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br><br>განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური<br>ონის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური<br>ონის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი</td></tr>
<tr><td>მიზანი 2.</td><td colspan="4">ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სხვა ბავშვების მსგავსად თანაბარი უფლებების და მოპყრობის რეალიზების მხარდაჭერა</td></tr>
<tr><td rowspan="3">ამოცანა 2.1.</td><td rowspan="3">შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება და განხორციელება, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2025 წლის მე. 4-ე კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება: ონის მუნიციპალიტეტის მერია</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>მიზანი 2.</td><td>საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესრულება</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>ამოცანა 2.1.</td><td colspan="4">მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, ასევე სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების აღრიცხვა და ადრეული ჩარევის სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება</td></tr>
<tr><td></td><td>ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:<br>1. შშმ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება გულისხმობს ადრეული ჩარევის გზით, მის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლების მიღების მხარდაჭერას და განვითარებას.</td><td colspan="3">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:<br>1. დაცულია ბავშვის საუკეთესო ინტერესები, რაც გულისხმობს: მის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლების ხელმისაწვდომობას და ადრეული ჩარევის გზით, მის განვითარებას;<br>2. აღრიცხულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სპეციალური საჭიროების მქონე და სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები 0-დან 3 წლამდე ბავშვები და შემუშავებულია პროგრამები ადრეული ჩარევის სერვისების მიწოდების მიზნით</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.1.</td><td colspan="4">განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ, შესაბამისი განყოფილების აქტიური ჩართულობით, ხელშეწყობილია 0-18 წლამდე უწყვეტი განათლების მიღების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის და ბიოლოგიურ ოჯახში ცხოვრებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>მიღწეულია გარკვეული შედეგი უწყვეტი განათლების მიღების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობის და ბიოლოგიურ ოჯახში ცხოვრებისთვის აუცილებელი გარემოს შესაქმნელად. მუნიციპალიტეტში მინიმუმამდეა დაყვანილი ამოცანა - არცერთი 2-დან 18 წლამდე ბავშვი განათლების გარეშე.<br><br>შესწავლილია 0-დან 18 წლამდე ბავშვთა გადაუდებელი საჭიროებები და მიღებულია შესაბამისი ზომები ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2025 წლის განმავლობაში</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td>---</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br>ონის მუნიციპალიტეტის მერია<br>მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური<br>ყველა ორგანიზაცია, რომლიც დაკავშირებულია ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებთან</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.2.</td><td colspan="4">სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მათ შორის სხვადასხვა მოდელის სკოლამდელი განათლების ალტერნატიულ ცენტრში, ბავშვთა ინკლუზიური განათლების მიმართლებით გაწეული მუშაობის შესახებ ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღის დირექტორისა და მულტიდისციპლინური გუნდის ანგარიშების მოსმენა</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფუძნებული ყველა ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, მათ შორის სკოლამდელი განათლების ალტერნატიულ ცენტრებში, შესწავლილია და აღრიცხული შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები და შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.<br>დაწესებულებებში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მწყობრი პრაქტიკა</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>2025 წლის მე-2 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br>ონის მუნიციპალიტეტის მერია<br>განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური<br>ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი</td></tr>
</table>

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მიზანი 3.** | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობა, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისთვის. მათი აქტიური ჩართვა მუნიციპალური პროექტებისა და პროგრამების შემუშავების პროცესში. | | | |
| **ამოცანა 3.1.** | მუნიციპალიტეტის მიერ, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელების დროს, შესაბამისი პროგრამების შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა. | | | |
| | **ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:**<br>1. ბიუჯეტირების პროცესში, ასევე მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავების დროს, აქტიურად არიან ჩართული მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები შშმ პირები.<br>2. მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მათი საქმიანი წინადადებები.<br>3.მოსმენილია ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის თაობაზე მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელთა ინფორმაციები | **ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:**<br>*პროგრამებისა და პროექტების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია შშმ პირთა მიერ წარმოდგენილი თითქმის ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია.* | | |
| | | | | |
| **აქტივობა 3.1.1.** | 18 წლამდე ასაკის შშმ პირი ბავშვების, მათი მშობლების მხარდაჭერა: კონსულტაციით სარგებლობა მათი უფლებებისა და კანონით მინიჭებული შეღავათების შესახებ; ბავშვთა განვითარებისკენ მიმართულ ადრეულ ჩარევასთან დაკავშირებით, ასევე კონსულტაცია ადრეული და სკოლამდელ ინკლუზიურ განათლების მნიშვნელობის თაობაზე | | | |
| | *აქტივობის შედეგის ინდიკატორი:*<br>*1.ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ ინდივიდუალური საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა და* | შესრულების ვადა | დაფინანსების წყარო | |
| | | | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი | სხვა |

<table>
<tr><td></td><td>განხორციელება საბავშვო დაწესებულებებში, მათ შორის, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში<br>2. კონსულტაციები: მშობლების ინფორმირება ბავშვის დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების შესახებ.<br>3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მშობლების ჩართულობით, ინკლუზიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა<br>4. სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართული მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრები</td><td>2025 წლის მანძილზე</td><td></td><td>---</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br>ონის მუნიციპალიტეტის მერია;<br>განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური;<br>ონის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურცენტრი;<br>ზოგადსაგანმანათლებლო სოლის მულტიდისციპლინური გუნდი;<br>ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 3.1.2</td><td colspan="4">ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ასეთი ოჯახების მატერიალური და არამატერიალური მიმართულებით პროგრამებისა და პროექტების შემუშავება.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>1.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გრძელდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლა;<br>2.მომზადებულია ასეთი ოჯახების დასახმარებლად სამოქმედო გეგმა და პროგრამები.<br>3.შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომაზე მოსმენილია ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის თაობაზე</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2025 წლის მანძილზე,<br><br>მე-2- ე და მე-4 -ე მეკვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br>ონის მუნიციპალიტეტის მერია<br>განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭრის განყოფილება</td></tr>
<tr><td colspan="5"></td></tr>
<tr><td>მიზანი 4.</td><td colspan="4">მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ქვეყანაში არსებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მორგება, საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით, სოციალური დახმარების გაცემა.</td></tr>
<tr><td>ამოცანა 4.1.</td><td colspan="4">„ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ და „ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, განხორციელების მდგომარეობის მონიტორინგი.</td></tr>
<tr><td></td><td>მითითებული დადგენილებების შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების პირთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ჰემოდიალიზის კომპონენტით და სოციალური დახმარების გაცემით.</td><td colspan="3">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:<br>მოქალაქეთა მომართვიანობის საფუძველზე, შეუფერხებლადაა გაცემული შესაბამისი დახმარებები.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 4.1.1.</td><td colspan="4">„ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ დადგენილების შესაბამისად შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>შშმ პირები, წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, უზრუნველყოფილი არიან მოხმარებული მედიკამენტების, სხვადასხვა სახის ოპერაციების წილობრივი დაფინანსებით</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2025 წლის განმავლობაში</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td>---</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br>ონის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილება</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td>აქტივობა 4.1.2.</td><td colspan="4">„ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა  და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების დაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გაწევის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელის ანგარიშის მოსმენა.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>2025 წლისთვის გამოკვეთილია მუნიციპლიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებები, შემუშავებულია სამოქმედო გეგმა და შესაბამისი თანხები გათვალისწინებულია 2025 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში.</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2025 წლის 1-კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br>ონის მუნიციპალიტეტის მერია;<br>განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td>მიზანი 5.</td><td>მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დროული აბილიტაციისა და რეაბილიტაციის მხარდაჭერა.</td></tr>
<tr><td>ამოცანა 5.1.</td><td>ინდივიდის საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებული სააბილიტაციო და სარეაბილიტაციო სერვისებისა და პროგრამების მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე შეთავაზება და განხორციელება.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:<br>საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ მუხლი 10. აბილიტაცია და რეაბილიტაცია; საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფილია ადრეული ჩარევის სერვისების მიწოდება, მიმწოდებლებთან თანამშრომლობით.</td><td colspan="2">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:<br>შესაძლებლობის ფარგლებში, ხელშეწყობილია შშმ პირთათვის საბილიტაციო და სარეაბილიტაციო სერვისებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება.<br>გრძელდება სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი და დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვა სკოლამდელი განათლების პროგრამაში. ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, მათი სპეციალური საჭიროებების დადგენა და ინდივიდუალური გეგმების შემუშავება. შეფასების საფუძველზე, გეგმებში ცვლილებების შეტანა ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობით</td></tr>
<tr><td>აქტივობა 5.1.1.</td><td colspan="4">საბილიტაციო და სარეაბილიტაციო საჭიროებების მქონე შშმ პირთათვის პროგრამების მომზადება.</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br><br>შესწავლილია საკითხი და შექმნილია საინფორმაციო ბაზა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთათვის პერსონალური ასისტენტის სერვისით მომსახურების საჭიროებასთან დაკავშირებით<br><br>საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით, მომზადებულია შესაბამისი პროგრამები, რომელიც წარდგენილია დაფინანსებისთვის 2025 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად. შერჩეულია დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით და გადამზადებულია შესაბამისი კადრი 2025 წელს პერსონალური ასისტენტის სერვისით მომსახურების განხორციელების დასაწყებად</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>2025 წლის მე-3-ე- მე-4 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td colspan="4">ონის მუნიციპალიტეტის მერია<br>მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება</td></tr>
<tr><td>ამოცანა 6.</td><td colspan="4">მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთათვის ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის დაცვის მდგომარეობა, არსებული კანონმდებლობის მოთოვნათა შესაბამისად</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br>1.ადრე აშენებული შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო-საპროექტო სამუშაოების დროს, გათვალისწინებულია სტანდარტის მოთხოვნები შშმ პირთა მისაწვდომობასთან დაკავშირებით, ხოლო ახალი მშენებლობების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას, მკაცრადაა დაცული საქართველოს მთავრობის დადგენილება N732 ტექნიკური რეგლამენტი-- „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.<br><br>2.მოსმენილია სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურების ხელმძღვანელების ინფორმაციები ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში გაწეული მუშაობის შესახებ</td><td>შესრულების ვადა</td><td colspan="2">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td rowspan="2">2025 წლის მე-3 კვარტალი</td><td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br>ონის მუნიციპალიტეტის მერია<br>მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური, ზედამხედველობის სამსახური</td></tr>
</table>